გადაწყვეტილება

N გ-21-13/718
30/12/2021

718-გ-21-4-202112301723

შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისთვის რადიოსარელეო სიხშირეებით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღამ“ კომისიას მიმართა განცხადებით (შემოსული № შ-21-7/5417, 14.12.21) დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით კომპანიის სტუდიიდან (ს. ზაქარიაძის ქ. 12-ის მიმდებარე ტერიტორია) მთაწმინდის სატელევიზიო ანძამდე სიგნალის მისაწოდებლად სარელეო სიხშირის 5 წლის ვადით მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღა“ ფლობს კერძო რადიომაუწყებლობის №B58 ლიცენზიას, 2026 წლის 31 დეკემბრამდე. კომპანია რადიომაუწყებლობას ახორციელებს ქ. თბილისში სიხშირეზე 107,4 მჰც. შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ რადიოსარელეო სიხშირე ესაჭიროება სტუდიიდან მთაწმინდის სატელევიზიო ანძამდე რადიო სიგნალის გადასაცემად, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, არაკომერციული მიზნით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კომისია მაუწყებელს რადიოსიხშირეებს დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის ანიჭებს მაუწყებლობის განხორციელების ვადით. მაუწყებელი (გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსი) რადიოსიხშირული სპექტრის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად იხდის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურს.

კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N 13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 7^1 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მაუწყებელს (გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოსი), რომელსაც დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებისათვის ესაჭიროება რადიოსიხშირული სპექტრი, კომისია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ანიჭებს რადიოსიხშირეებს კომისიის გადაწყვეტილებით. ამ შემთხვევაში მაუწყებელი იხდის რადიოსიხშირული რესურსით

სარგებლობის საფასურს, რომლის ოდენობა განისაზღვრება ამავე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ფორმულის შესაბამისად.

კომისია აღნიშნავს, რომ სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2021 წლის 24 დეკემბრის № 21-10-2371 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ შესაძლებელია მიენიჭოს რადიოსიხშირე სამსახურებრივ ბარათში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

კომისია ასევე, აღნიშნავს, რომ კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის განსაზღვრის დებულების“ 7^1 მუხლის პირველი პუნქტისა და სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2021 წლის 24 დეკემბრის № 21-10-2371 სამსახურებრივი ბარათში განსაზღვრული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ (2021 წლის 20 დეკემბრის № 21-10-2328 სამსახურებრივი ბარათი) გაანგარიშებულ იქნა რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური, რომელმაც 2022 წლის პირველი იანვრიდან სიხშირული რესურსის ხუთი წლის ვადით მინიჭების შემთხვევაში შეადგინა **2,010.96** ლარი.

აქედან პირველი კალენდარული წლის საფასური, რომელიც განისაზღვრება სარგებლობის უფლების გაცემიდან (01.01.22-დან) 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე შეადგენს **574.56** ლარს;

მეორე კალენდარული წლის საფასური შეადგენს **574.56** ლარს;

მესამე კალენდარული წლის საფასური შეადგენს **287.28** ლარს;

მეოთხე კალენდარული წლის საფასური შეადგენს **287.28** ლარს;

მეხუთე კალენდარული წლის საფასური შეადგენს **287.28** ლარს;

ამავე დადგენილების 7^1 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების ერთ წელზე მეტი ვადით მოთხოვნისას პირველი კალენდარული წლის საფასურის, რომელიც განისაზღვრება სარგებლობის უფლების გაცემიდან მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, გადახდა ხორციელდება წინასწარ, ხოლო ყოველი შემდგომი წლიური საფასური, რომელიც ემთხვევა კალენდარულ წელს, ყოველი წლის დასაწყისში არაუგვიანეს 20 იანვრისა. რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური ირიცხება კომისიის ბიუჯეტში.

კომისია აღნიშნავს, რომ 2021 წლის 14 დეკემბერს შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ გაეგზავნა წერილი № გ-21-03/3618, რომლის თანახმად კომპანიას კომისიის ბიუჯეტში უნდა გადაეხადა პირველი კალენდარული წლის საფასური, რომელიც განისაზღვრება სარგებლობის უფლების გაცემიდან (01.01.22-დან) 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე და შეადგენს **574.56** ლარს. წერილის თანახმად, კომპანიას თანხის გადახდა უნდა განეხორციელებინა 2021 წლის 27 დეკემბრამდე. შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღამ“ 2021 წლის 24 დეკემბერს კომისიის ბიუჯეტში ჩარიცხა **574.56** ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ 2021 წლის 30 დეკემბრის სხდომაზე კომისიამ იმსჯელა შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნია შპს

„ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ არაკომერციული დამხმარე ტექნოლოგიური, დანიშნულებით რადიოსარელეო სიხშირით სარგებლობის უფლების მინიჭება ხუთი წლის ვადით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 პუნქტის და „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ 71 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის თანახმად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიენიჭოს შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება № **F 2655, 2022 წლის პირველი იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,** (თითოეული გადამცემის სიმძლავრე, არა უმეტეს - 1ვტ), რადიოსარელეო ხაზის ფუნქციონირებისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით, შემდეგი ტექნიკური პირობებით:

პუნქტი A	კოორდინატები	პუნქტი B	კოორდიტები	A Tx (მჰც)	ზოლის სიგანე (მჰც)	B Tx (მჰც)	ზოლის სიგანე (მჰც)
სტუდია (ს. ზაქარიაძის ქ. 12)	**41°43'39.4"N 44°44'45.6"E**	**მთაწმინდის სატელევიზიო ანძა**	**41°41'44.4"N 44°47'05.8"E**	**10312**	**14**	**10508**	**14**

2. შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღის“ მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული სპექტრი გამოყენებული უნდა იქნას არაკომერციული მიზნით და დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, გეოგრაფიული კოორდინატებით განსაზღვრულ წერტილებს შორის მონაკვეთებზე (სტუდია (ს. ზაქარიაძის ქ. 12-ის მიმდებარე ტერიტორია) - მთაწმინდის სატელევიზიო ანძა) ორმხრივი მიმართულებით სიგნალის გადასაცემად;

3. განესაზღვროს შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური - **2,010.96 (ორი ათას ათი ლარი და 96 თეთრი)** ლარის ოდენობით;

4. უზრუნველყოს შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღამ“ ამ გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში განსაზღვრული საფასურის - **2,010.96 (ორი ათას ათი ლარი და 96 თეთრი)** ლარის დარჩენილი ნაწილის გადახდა შემდეგი გრაფიკის და რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღების დასახელება - სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

საიდენტიფიკაციო კოდი - 204953050;

ანგარიშის IBAN – GE06 TB70 2063 6070 1000 02;

მიმღების ბანკი - სს თიბისი ბანკი;

მიმღები ბანკის კოდი - TBCBGE22;

დანიშნულება - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასური არაკომერციული და დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირებისთვის.

მეორე კალენდარული წლის საფასური **574.56** ლარი - 2023 წლის 20 იანვრამდე;

მესამე კალენდარული წლის საფასური **287.28** ლარი - 2024 წლის 20 იანვრამდე;

მეოთხე კალენდარული წლის საფასური **287.28** ლარი - 2025 წლის 20 იანვრამდე;

მეხუთე კალენდარული წლის საფასური **287.28** ლარი - 2026 წლის 20 იანვრამდე.

5. შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღის“ მიერ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით განსაზღვრული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში კომისია მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს;
6. საქართველოს კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაში, შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ სიხშირეების მინიჭების საკითხი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან;
7. დაევალოს შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღას“ გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.comcom.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ნ. დევდარიანი);
9. დაევალოს სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე) და კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი) შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ მინიჭებული სიხშირის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
10. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
11. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) გადაწყვეტილების შპს „ტელე-რადიო კომპანია მწვანე ტალღისთვის“ ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში;
13. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-7 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ა. ქარუმიძე);
14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი, მე-2, მე-4, მე-7, მე-8, მე-10 და მე-13 პუნქტებისა) კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციისა და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე



წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე



წევრი